პირველი შთამბეჭდავი ნაბიჯი ნახევარფინალისკენ

ლონდონი. 4 მარტი. “ეპტონ პარკის” სტადიონი.

“ვესტ ჰემ იუნაიტედი” (ლონდონი, ინგლისი) – “დინამო” (თბილისი, სსრ კავშირი) 1:4 (0:2).

“ვესტ ჰემი”: ფარქსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, ნარტინი, დევონშაირი, (ალენი), ნეიბურგი, გუდარდი, ქროსი, ბრუკინგი, ფაიქი.

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ა. გარიდო (პორტუგალია).

გაფრთხილებულია ხინჩაგაშვილი.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა ამ მატჩზე ჩვენ უკვე ვწერდით. თბილისის დინამოელებმა ინგლისის თასის მფლობელი მისსავე მინდორზე დაამარცხეს დიდი ანგარიშით – 4:1.

თბილისელებმა ამ მატჩში სრულად გამოავლინეს თავიანთი მაღალი ოსტატობა, მობილიზება, ნებისყოფა და თითქმის არავითარი შანსი არ დაუტოვეს ძლიერ მეტოქეს. ჩვენი გუნდის ყოველი რგოლი, თითოეული მოთამაშე იბრძოდა მაქსიმალური მობილიზებით. თვით “ვესტ ჰემის” ქომაგებმაც კი, რომელთა რაოდენობამ ტრიბუნებზე 40 ათასს მიაღწია, შესაფერისად შეაფასეს დინამოელთა შესანიშნავი თამაში – ტაშით გააცილეს ისინი მინდვრიდან. ამ დღეს დინამოელთა წინააღმდეგ ბრძოლა ინგლისის ამ პროფესიული გუნდის ძალებს აღემატებოდა. ბრწყინვალე სოლისტებმა დ. ყიფიანმა, ა. ჩივაძემ უკლებლივ ყველა სხვა დინამოელმა უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა.

ანგარიში გაიხსნა 24–ე წუთზე ჩივაძის თამამი გარღვევისა და შორეული მშვენიერი დარტყმის შემდეგ. მერე გუცაევმა “მოჰპარა” ბურთი ინგლისელთა ერთ–ერთ მცველს. პირისპირ გავიდა მეკარესთან და მეორედ აიღო კარი.

54–ე წუთზე ქროსმა სტუმრების კართან მოწოდებული კუთხურის შემდეგ გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ იმავე წუთს შენგელიამ ზუსტად ისარგებლა მეტოქის კართან შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით, 67–ე წუთზე კი მეოთხედ აიძულა ფარქსი ბადიდან გამოეტანა ბურთი – 4:1.

თბილისის დინამოელებმა თავიანთი დიდოსტატური თამაშით და დამსახურებული გამარჯვებით პირველი ნაბიჯი გადადგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქმე მოთავებულად ჩავთვალოთ და განმეორებითი მატჩის წინ გულდამშვიდებულად ვიყოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ “ვესტ ჰემი” ინგლისის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდია და განმეორებით მატჩს 18 მარტისთვის სრული მობილიზებით, ახალი გამარჯვების დიდი წყურვილით უნდა შევხვდეთ.

“ლელო”, 7 მარტი, 1981 წ.